USAID
ამერიკელი ხალხისგან

საქართველოს
ახალგაზრდა
იურისტთა
ასოციაცია

თავისუფალი,სამართლიანი და თანასწორი საარჩევნო-პოლიტიკური ციკლი 2019-2022 წლებში

საინფორმაციო ბიულეტენი №28
იანვარი, 2022

თბილისი, 2022

ხელმძღვანელი:

ნანუკა ყრუაშვილი

ავტორი:

ლიკა ჩხეტიანი

საინფორმაციო ბიულეტენის მომზადება შესაძლებელი გახდა ამერიკელი ხალხის გულუხვი დახმარების წყალობით, რომელიც აშშ-ს საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) მეშვეობით იქნა გაწეული. ბიულეტენის შინაარსზე პასუხისმგებელია „საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია“ (საია). ის შესაძლოა არ ასახავდეს USAID-ის ან აშშ-ის მთავრობის შეხედულებებს.

USAID
ამერიკელი ხალხისგან

შესავალი

საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციამ (საია) 2019 წლის აგვისტოდან მთელი ქვეყნის მასშტაბით დაიწყო პროექტის - „თავისუფალი, სამართლიანი და თანასწორი საარჩევნო პოლიტიკური ციკლი 2019-2022 წლებში" იმპლემენტაცია. პროექტის ერთ-ერთი მიზანია საარჩევნო გარემოს გაუმჯობესების ხელშეწყობა მონიტორინგისა და მტკიცებულებაზე დაფუძნებული ადვოკატირების გზით. ამის მისაღწევად ორგანიზაცია დააკვირდება მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებს და შეიმუშავებს რეკომენდაციებს, რომლებსაც გააცნობს საზოგადოებას და წარუდგენს გადაწყვეტილების მიმღებ პირებს. ამჟამად წარმოგიდგენთ №28 ბიულეტენს, სადაც აღწერილია 2022 წლის იანვარში განვითარებული ის მოვლენები, რომლებმაც გავლენა მოახდინა პოლიტიკურ გარემოზე.

I. თანამდებობების განაწილება საკრებულოებში

2021 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების შედეგად არჩეული საკრებულოები საქმიანობას 3 ოქტომბერს შეუდგნენ. თუმცა, იმ მუნიციპალიტეტებში, სადაც „ქართულმა ოცნებამ" უმრავლესობის მოპოვება ვერ შეძლო, თანამდებობების გადანაწილების პროცესი გაჭიანურდა.[1] იანვარში კრიზისის გადალახვა შეძლეს წალენჯიხაში, სადაც რიგით მეექვსე სხდომაზე საკრებულოს თავმჯდომარედ პარტია „საქართველოსთვის" წევრი კორნელი სალია აირჩიეს.[2] აღსანიშნავია, რომ კენჭისყრაში პროტესტის ნიშნად არ მონაწილეობდა „ქართული ოცნება".[3] 31 იანვარს რუსთავში საკრებულოს თავმჯდომარედ პარტია „საქართველოსთვის" წევრი ნოდარ შეროზია აირჩიეს.[4] ორივე მუნიციპალიტეტში თავმჯდომარის მოადგილეებად ოპოზიციური პარტიების - „ერთიანი ნაციონალური მოძრაობისა" და პარტია „საქართველოსთვის" წარმომადგენლებს დაუჭირეს მხარი.[5]

თანამდებობების განაწილება გაჭიანურდა ბათუმის საკრებულოშიც, სადაც თავმჯდომარის ასარჩევად საკმარისი 18 ხმა ვერცერთმა მხარემ ვერ მოაგროვა. 23 დეკემბერს, „ქართული ოცნებიდან" არჩეული წევრების გამოუცხადებლობისა და, შესაბამისად, საჭირო კვორუმის არარსებობის გამო, სხდომის ჩატარებაც ვერ მოხერხდა. ვითარება ასევე გაართულა საკრებულოში მაჟორიტარული წესით არჩეული 35-ე წევრის, „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის" წარმომადგენლის, ნუგზარ ფუტკარაძის გარდაცვალებამ.[6]

---

[1] „ექვსი მუნიციპალიტეტის საკრებულოში თავმჯდომარეები ვერ აირჩიეს", საინფორმაციო პორტალი "Civil.ge", 2021 წლის 12 დეკემბერი, ხელმისაწვდომია: https://civil.ge/ka/archives/460040, განახლებულია: 24.02.2022.

[2] „წალენჯიხის საკრებულოს თავმჯდომარედ გახარიას პარტიის წევრი აირჩიეს", საინფორმაციო პორტალი "რადიო თავისუფლება", 2022 წლის 20 იანვარი, ხელმისაწვდომია: https://www.radiotavisupleba.ge/a/31663039.html, განახლებულია: 24.02.2022.

[3] „ოპოზიციამ წალენჯიხის საკრებულოს თავმჯდომარე აირჩია", საინფორმაციო პორტალი "Civil.ge", 2022 წლის 20 იანვარი, ხელმისაწვდომია: https://civil.ge/ka/archives/467716, განახლებულია: 24.02.2022.

[4] „რუსთავის საკრებულოს თავმჯდომარე ოპოზიციამ აირჩია", საინფორმაციო პორტალი "Civil.ge", 2022 წლის 31 იანვარი, ხელმისაწვდომია: https://civil.ge/ka/archives/469921, განახლებულია: 24.02.2022.

[5] „წალენჯიხის საკრებულომ თავმჯდომარის მოადგილეებადაც ოპოზიციონერი დეპუტატები აირჩია", საინფორმაციო პორტალი "რადიო თავისუფლება", 2022 წლის 25 იანვარი, ხელმისაწვდომია: https://www.radiotavisupleba.ge/a/31670329.html, განახლებულია: 24.02.2022;
„რუსთავის საკრებულოს თავმჯდომარე ოპოზიციამ აირჩია", საინფორმაციო პორტალი "Civil.ge", 2022 წლის 31 იანვარი, ხელმისაწვდომია: https://civil.ge/ka/archives/469921, განახლებულია: 24.02.2022.

[6] „ნაციონალური მოძრაობა" მოითხოვს ბათუმის საკრებულოს წევრის გარდაცვალების მიზეზთა დროულ გამოძიებას", საინფორმაციო პორტალი „რადიო თავისუფლება", 2022 წლის 25 იანვარი, ხელმისაწვდომია: https://www.radiotavisupleba.ge/a/31670146.html, განახლებულია: 24.02.2022.

კვორუმის არარსებობის გამო, იანვარში ზუგდიდის საკრებულოს მეხუთე სხდომა, წინა ოთხის მსგავსად, ასევე გადაიდო და თებერვალში ჩატარდება.[7] შესაბამისად, თავმჯდომარის არჩევა აქაც ვერ შეძლეს.[8]

II. ცესკოს თავმჯდომარის შერჩევა

24 იანვარს პრეზიდენტმა სალომე ზურაბიშვილმა პარლამენტს ცენტრალური საარჩევნო კომისიის თავმჯდომარეობის ორი და წევრობის ოთხი კანდიდატი წარუდგინა.[9] თავმჯდომარის ვაკანტურ პოსტზე ზურაბიშვილმა მოქმედი თავმჯდომარე გიორგი კალანდარიშვილი და თენგიზ თევზაძე დაასახელა.[10] კალანდარიშვილი ამ პოზიციაზე 2021 წლის აგვისტოში 6 თვის ვადით აირჩიეს.[11] ოპოზიციური პარტიების ნაწილმა, „ლელომ" და „სტრატეგია აღმაშენებელმა", განაცხადეს, რომ ისინი მხარს თევზაძის კანდიდატურას დაუჭერდნენ, ვინაიდან, მათი აზრით, კალანდარიშვილის დამოუკიდებლობის საკითხი ეჭვქვეშ იდგა.[12]

III. მიხეილ სააკაშვილის საქმე

18 იანვარს მიხეილ სააკაშვილის ადვოკატებმა პროკურატურას მისი დაზარალებულად ცნობის მოთხოვნით მიმართეს.[13] მათ ექსპრეზიდენტის ღირსების შემლახავი და არაადამიანური მოპყრობის მსხვერპლად აღიარება მოითხოვეს.[14] 19 იანვარს ეს მიმართვა სახალხო დამცველმა „სამართლიან მოთხოვნად"[15] შეაფასა. თუმცა, მისი თქმით, იმისთვის, რომ თავადაც გაეცა სააკაშვილის დაზარალებულად აღიარების რეკომენდაცია, მეტი ინფორმაციის მოპოვება იყო საჭირო და ისინი ამაზე მუშაობდნენ.[16] პროკურატურამ 20 იანვარს მესამე პრეზიდენტის ადვოკატების მოთხოვნა არ დააკმაყოფილა.[17]

19 იანვარს სახალხო დამცველის მიერ პატიმრობაში მყოფი მიხეილ სააკაშვილის ჯანმრთელო-

---

[7] „ზუგდიდის საკრებულოს თავმჯდომარე მეხუთე ჯერზეც ვერ აირჩიეს", საინფორმაციო პორტალი „რადიო თავისუფლება", 2022 წლის 12 იანვარი, ხელმისაწვდომია: https://www.radiotavisupleba.ge/a/31650652.html, განახლებულია: 24.02.2022.

[8] იქვე.

[9] წევრობის კანდიდატებად დასახელებულნი არიან: ქრისტინე ქაჯაია, ლევან ისაკაძე, მაია ზარიძე და გია ცაცაშვილი. იხ. „პრეზიდენტმა ცესკოს თავმჯდომარისა და წევრობის კანდიდატები შეარჩია", საინფორმაციო პორტალი „Civil.ge", 2022 წლის 25 იანვარი, ხელმისაწვდომია: https://civil.ge/ka/archives/468584, განახლებულია: 24.02.2022.

[10] იქვე.

[11] „ცესკოს ახალი თავმჯდომარე ჰყავს", საინფორმაციო პორტალი „Civil.ge", 2021 წლის 2 აგვისტო, ხელმისაწვდომია: https://civil.ge/ka/archives/435153, განახლებულია: 24.02.2022.

[12] „პრეზიდენტმა ცესკოს თავმჯდომარისა და წევრობის კანდიდატები შეარჩია", საინფორმაციო პორტალი „Civil.ge", 2022 წლის 25 იანვარი, ხელმისაწვდომია: https://civil.ge/ka/archives/468584, განახლებულია: 24.02.2022.

[13] „სააკაშვილის დაზარალებულად ცნობის მოთხოვნით ადვოკატებმა პროკურატურას მიმართეს", საინფორმაციო პორტალი „რადიო თავისუფლება", 2022 წლის 18 იანვარი, ხელმისაწვდომია: https://www.radiotavisupleba.ge/a/31659730.html, განახლებულია: 24.02.2022.

[14] იქვე.

[15] „სააკაშვილისთვის დაზარალებულის სტატუსის მინიჭების მოთხოვნა არგუმენტირებულია", საინფორმაციო პორტალი „რადიო თავისუფლება", 2022 წლის 19 იანვარი, ხელმისაწვდომია: https://www.radiotavisupleba.ge/a/31661273.html, განახლებულია: 24.02.2022.

[16] „სააკაშვილისთვის დაზარალებულის სტატუსის მინიჭების მოთხოვნა არგუმენტირებულია", საინფორმაციო პორტალი „რადიო თავისუფლება", 2022 წლის 19 იანვარი, ხელმისაწვდომია: https://www.radiotavisupleba.ge/a/31661273.html, განახლებულია: 24.02.2022.

[17] „არაადამიანური მოპყრობის საქმეზე პროკურატურამ სააკაშვილი დაზარალებულად არ ცნო", საინფორმაციო პორტალი „რადიო თავისუფლება", 2022 წლის 20 იანვარი, ხელმისაწვდომია: https://www.radiotavisupleba.ge/a/31663175.html, განახლებულია: 24.02.2022.

ბის მდგომარეობის მონიტორინგის მიზნით შექმნილი ექიმთა ჯგუფის რიგით მეხუთე დასკვნა გამოქვეყნდა.[18] დასკვნის თანახმად, „პაციენტის მდგომარეობა კვლავ საყურადღებო" იყო.[19] პოსტტრავმული სტრესული აშლილობისა და დეპრესიის სამკურნალოდ პრეზიდენტს თერაპია ესაჭიროებოდა, რისი რეკომენდაციაც 2021 წლის 25 ნოემბრის დასკვნითაც გაიცა.[20] თუმცა, ამგვარი მკურნალობა მას დღემდე არ ჩასტარებია, შესაბამისად, პაციენტის მდგომარეობა ამ მხრივ არ გაუმჯობესებულა.[21] ექიმთა ჯგუფის რეკომენდაციით, მიხეილ სააკაშვილის სრულფასოვანი რეაბილიტაციისთვის აუცილებელი იყო ფსიქოთერაპიის, ფიზიკური რეაბილიტაციისა და დამატებითი გამოკვლევების ჩატარება.[22]

თბილისის საქალაქო სასამართლომ 11 იანვარს გააუქმა სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის გადაწყვეტილება იუსტიციის სამინისტროს მიერ მიხეილ სააკაშვილის პერსონალური მონაცემების უკანონოდ გასაჯაროების შესახებ,[23] ხოლო 17 იანვარს - ანალოგიური გადაწყვეტილება სპეციალური პენიტენციური სამსახურის მიმართაც.[24] ამ ფაქტს გამოეხმაურა სახელმწიფო ინსპექტორის სამსახური და სასამართლოს მიერ ინსპექტორის მიერ მიღებული გადაწყვეტილებების სრულად გაუქმება პენიტენციურ დაწესებულებაში მყოფი პირების უფლებების დაცვის სტანდარტისთვის „საშიშ პრეცენდენტად"[25] შეაფასა. განცხადებაში ასევე აღინიშნა, რომ სასამართლოს გადაწყვეტილება ქვეყანაში პერსონალურ მონაცემთა დაცვის ზოგად მდგომარეობას აქვეითებდა.[26]

IV. საპარლამენტო ბოიკოტის შეწყვეტა „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის" მიერ

31 იანვარს „ნაციონალურმა მოძრაობამ" საპარლამენტო ბოიკოტის შეწყვეტის გადაწყვეტილება მიიღო.[27] ამის შესახებ საზოგადოებას ოპოზიციური ფრაქცია „ნაციონალური მოძრაობა - ძალა ერთობაშიას" თავმჯდომარე ხატია დეკანოიძემ აცნობა.[28] მისი თქმით, პარტიის საპარლამენტო საქმიანობის მთავარი მიზანი მესამე პრეზიდენტის საქმეზე დროებითი საგამოძიებო კომისიის შექმნა და „რეჟიმის მხილება" იქნებოდა, კერძოდ, იმის ჩვენება, როგორ ეპყრობოდა მმართველი პარტია სააკაშვილს „რეპრესიული ინსტიტუტების" გამოყენებით.[29] საპარლამენტო საგამოძიებო

---

[18] „ექიმები სააკაშვილის ფსიქოთერაპიული და ფიზიკური რეაბილიტაციის საჭიროებაზე საუბრობენ", საინფორმაციო პორტალი „Civil.ge", 2022 წლის 20 იანვარი, ხელმისაწვდომია: https://civil.ge/ka/archives/467683, განახლებულია: 24.02.2022.

[19] კერძოდ, ძირითადი პრობლემები იყო: ვერნიკეს ენცეფალოპათიის შედეგები (ნევროლოგიური სიმპტომატიკა, კერძოდ, მზერის პარეზი, წონასწორობის დარღვევა, ზოგადი სისუსტე, კიდურებზე მგრძნობელობის გაუარესება), ანემია, პოსტტრავმული სტრესული აშლილობა და ზომიერად/მძიმედ გამოხატული დეპრესია.
იხ. „საქართველოს სახალხო დამცველის მიერ შექმნილ სპეციალისტთა/ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა №5 მიხეილ სააკაშვილის სამედიცინო მდგომარეობის მონიტორინგის შედეგების შესახებ", საქართველოს სახალხო დამცველის ოფიციალური ვებგვერდი, 2022 წლის 19 იანვარი, ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3t7OSVk, განახლებულია: 24.02.2022.

[20] იქვე.

[21] იქვე.

[22] იქვე.

[23] „სასამართლომ სააკაშვილის ჩანაწერებზე იუსტიციის სამინისტროს მიმართ ინსპექტორის გადაწყვეტილება გააუქმა", საინფორმაციო პორტალი „Civil.ge", 2022 წლის 12 იანვარი, ხელმისაწვდომია: https://civil.ge/ka/archives/466406, განახლებულია: 24.02.2022.

[24] „სასამართლომ სააკაშვილის კადრებზე ინსპექტორის გადაწყვეტილება პენიტენციური სამსახურის მიმართაც გააუქმა", საინფორმაციო პორტალი „Civil.ge", 2022 წლის 17 იანვარი, ხელმისაწვდომია: https://civil.ge/ka/archives/467286, განახლებულია: 24.02.2022.

[25] სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის ოფიციალური Facebook-გვერდი, 2022 წლის 17 იანვარი, ხელმისაწვდომია: https://www.facebook.com/photo/?fbid=235307858772557&set=a.231272702509406, განახლებულია: 24.02.2022.

[26] იქვე.

[27] „ნაციონალური მოძრაობა საპარლამენტო ბოიკოტს წყვეტს", საინფორმაციო პორტალი „Civil.ge", 2022 წლის 31 იანვარი, ხელმისაწვდომია: https://civil.ge/ka/archives/469872 , განახლებულია: 24.02.2022.

[28] იქვე.

[29] „ვაპირებთ საგამოძიებო კომისიის შექმნას მიხეილ სააკაშვილის საქმესთან დაკავშირებით", 2021 წლის 31 იანვარი, „მთავარი არხის" ოფიციალური Facebook-გვერდი, ხელმისაწვდომია: https://www.facebook.com/TvMtavari/videos/5351426014902099/, განახლებულია: 24.02.2022.

კომისიის შექმნის შესახებ საჯაროდ პირველად ხატია დეკანოიძემ განაცხადა, მალევე კი ამ ინიციატივით მიხეილ სააკაშვილიც გამოვიდა.[30] „ნაციონალური მოძრაობის" განმარტებით, საპარლამენტო საგამოძიებო კომისიას მიხეილ სააკაშვილის მიმართ გლდანის პენიტენციურ დაწესებულებაში ჩადენილი „არაადამიანური და ღირსების შემლახავი მოპყრობის ფაქტები" უნდა გამოეძიებინა.[31]

V. დეპუტატებისთვის მანდატის შეწყვეტა

12 იანვარს თბილისის საქალაქო სასამართლომ პარტია „ლელოს" დამფუძნებლებს, ბადრი ჯაფარიძესა და მამუკა ხაზარაძეს, ასევე „ტელეკომპანია" პირველის დამფუძნებელ ვატო წერეთლის მამას, ავთანდილ წერეთელს ფულის გათეთრების საქმეზე წაყენებული ბრალი თაღლითობის 180-ე მუხლით გადაუკვალიფიცირა და თითოეულს 7-წლიანი პატიმრობა მიუსაჯა.[32] თუმცა, დანაშაულის ხანდაზმულობის გამო, სასამართლომ ისინი სასჯელისგან გაათავისუფლა.[33]

ცნობისთვის, საქმეზე გამოძიება 2018 წელს დაიწყო, 2019 წელს კი გენერალურმა პროკურატურამ თიბისი ბანკის დამფუძნებლებს, მამუკა ხაზარაძესა და ბადრი ჯაფარიძეს, ასევე ავთანდილ წერეთელს, სისხლის სამართლის კოდექსის 194-ე მუხლის საფუძველზე, უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის ბრალდება წაუყენა.[34] ბრალდება შეეხება 2008 წელს თიბისი ბანკის მიერ ავთანდილ წერეთლის კუთვნილი კომპანიებისთვის 17 მლნ ამერიკული დოლარის სესხად მიცემას.[35] პროკურატურის მტკიცებით, კომპანიებმა ეს თანხა იმავე დღეს სესხის სახით ბადრი ჯაფარიძესა და მამუკა ხაზარაძეს გადასცეს.[36] პროკურატურის ცნობით, 2012 წელს ეს კომპანიები ბანკმა მის წინაშე არსებული ვალდებულებებისგან სრულად გაათავისუფლა.[37]

ჯაფარიძე და ხაზარაძე სასამართლოს გადაწყვეტილებას არ დაეთანხმნენ და აღნიშნეს, რომ მას სააპელაციო სასამართლოში გასააჩივრებენ.[38] მამუკა ხაზარაძემ სასამართლოს განაჩენი ბიძინა ივანიშვილის დავალებით მიღებულ პოლიტიკურ გადაწყვეტილებად შეაფასა.[39] ბადრი ჯაფარიძის თქმით, მათ არანაირი დანაშაული არ ჩაუდენიათ.[40] თავის მხრივ, გადაწყვეტილების გასაჩივრებას აპირებს პროკურატურაც, რომელიც სასამართლოს მიერ ბრალის გადაკვალიფიცირებას არ დაეთანხმა.[41]

მიმდინარე მოვლენებს ოპოზიციური პარტიების სხვა წარმომადგენლებიც გამოეხმაურნენ. „ნაციონალური მოძრაობის" თავმჯდომარე ნიკა მელიას თქმით, ბიძინა ივანიშვილი გეგმავდა, რომ პოლიტიკური მართლმსაჯულების გამოყენებით ოპოზიციური პარტიები დაესუსტებინა, მაგრამ

---

[30] „გამოძიება პარლამენტში: რატომ ითხოვს სააკაშვილი თავის საქმეზე კომისიის შექმნას", საინფორმაციო პორტალი „რადიო თავისუფლება", 2022 წლის 4 იანვარი, ხელმისაწვდომია: https://www.radiotavisupleba.ge/a/31639233.html, განახლებულია: 24.02.2022.

[31] იქვე.

[32] „სასამართლომ ხაზარაძე, ჯაფარიძე და წერეთელი გაამტყუნა, თუმცა მათ არ დაიჭერენ", საინფორმაციო პორტალი „Civil.ge", 2022 წლის 12 იანვარი, ხელმისაწვდომია: https://civil.ge/ka/archives/466249, განახლებულია: 24.022. 2022.

[33] იქვე.

[34] „თიბისი ბანკის საქმე - ძირითადი პუნქტები", საინფორმაციო პორტალი „Civil.ge", 2019 წლის 11 მარტი, ხელმისაწვდომია: https://civil.ge/ka/archives/278912, განახლებულია: 24.02.2022.

[35] იქვე.

[36] იქვე.

[37] იქვე.

[38] „ხაზარაძე და ჯაფარიძე სასამართლოს დღევანდელ გადაწყვეტილებას გაასაჩივრებენ", საინფორმაციო პორტალი „რადიო თავისუფლება", 2022 წლის 12 იანვარი, ხელმისაწვდომია: https://www.radiotavisupleba.ge/a/31650386.html, განახლებულია: 24.02.2022.

[39] იქვე.

[40] იქვე.

[41] „პროკურატურა სააპელაციოში გაასაჩივრებს ხაზარაძე-ჯაფარიძე-წერეთლის საქმეზე განაჩენს", საინფორმაციო პორტალი „რადიო თავისუფლება", 2022 წლის 12 იანვარი, ხელმისაწვდომია: https://www.radiotavisupleba.ge/a/31650628.html, განახლებულია: 24.02.2022.

შედეგად მათი „შეუპოვრობის" განმტკიცება მიიღო".[42] ფრაქცია „ლელო-პარტნიორობა საქართველოსთვის" წევრმა სალომე სამადაშვილმა ხაზარაძე-ჯაფარიძის საქმე „პოლიტიკურ დაკვეთად" შეაფასა და ხაზი გაუსვა ქვეყნის განვითარებისთვის კანონის უზენაესობის დამკვიდრების მნიშვნელობას.[43] „სტრატეგია აღმაშენებლის" ლიდერმა გიორგი ვაშაძემ საქმეს „პოლიტიკურად მოტივირებული", ხოლო დამოუკიდებელმა დეპუტატმა დავით ბაქრაძემ „იურიდიულად აბსოლუტური ნონსენსი" უწოდა.[44] სასამართლოს გადაწყვეტილებაზე აზრი გამოთქვა „ქართული ოცნების" დეპუტატმა მიხეილ სარჯველაძემაც.[45] მისი აზრით, მიუხედავად სამართლებრივი კვალიფიკაციისა და დანაშაულის კატეგორიისა, სასამართლოს „დანაშაულებრივი ფაქტის" დადასტურებასთან დაკავშირებით პრობლემა არ ჰქონია.[46] სარჯველაძის თქმით, კონსტიტუციის მიხედვით, არსებობდა პარლამენტის მიერ ბადრი ჯაფარიძისთვის მანდატის შეწყვეტის საკითხის განხილვის ფორმალური საფუძველი.[47] ბადრი ჯაფარიძემ განაცხადა, რომ თუ პარლამენტი მისი მანდატის შეწყვეტას განიხილავდა, ეს იქნებოდა „პოლიტიკური დევნის ახალი ტალღა".[48]

მანდატების გაუქმება ასევე ემუქრებათ შალვა ნათელაშვილსა და ელენე ხოშტარიას.[49] მათ შემთხვევაში უფლებამოსილების შეწყვეტის საკითხი, შესაძლებელია, არასაპატიო გაცდენის საფუძვლით დადგეს.[50]

VI. ეროვნულ-დემოკრატიული ინსტიტუტის საზოგადოებრივი განწყობის კვლევის შედეგები

27 იანვარს ეროვნულ-დემოკრატიულმა ინსტიტუტმა (NDI) საზოგადოებრივი განწყობების კვლევის შედეგები გამოაქვეყნა.[51] კვლევის მიხედვით, საქართველოს მოსახლეობისთვის მთავარი გამოწვევა ეკონომიკური სიდუხჭირე იყო.[52] მოქალაქეები მიიჩნევდნენ, რომ ქვეყანა არასწორი მიმართულებით ვითარდებოდა და ბოლო ათი წლის განმავლობაში ქვეყნისთვის მნიშვნელოვან საკითხებთან დაკავშირებით პროგრესი არ შეიმჩნეოდა.[53] პოლიტიკური შეხედულებების მიუხედავად, ქვეყნის მთავარ გამოწვევებსა და ძირითად ეკონომიკურ პრობლემებზე მოქალაქეებს საერთო მოსაზრებები ჰქონდათ.[54]

კვლევამ აჩვენა, რომ კრიტიკულად დაბალია პოლიტიკური პარტიებისა და საჯარო ინსტიტუტე-

---

[42] „თიბისი ბანკის საქმეზე სასამართლოს გადაწყვეტილებას პოლიტიკოსები აფასებენ", საინფორმაციო პორტალი „Civil.ge", 2022 წლის 12 იანვარი, ხელმისაწვდომია: https://civil.ge/ka/archives/466439, განახლებულია: 24.02.2022.

[43] იქვე.

[44] „თიბისი ბანკის საქმეზე სასამართლოს გადაწყვეტილებას პოლიტიკოსები აფასებენ", საინფორმაციო პორტალი „Civil.ge", 2022 წლის 12 იანვარი, ხელმისაწვდომია: https://civil.ge/ka/archives/466439, განახლებულია: 24.02.2022.

[45] იქვე.

[46] იქვე.

[47] „ქართული ოცნება ბადრი ჯაფარიძისთვის სადეპუტატო მანდატის შეწყვეტის საკითხს განიხილავს", საინფორმაციო პორტალი „Civil.ge", 2022 წლის 13 იანვარი, ხელმისაწვდომია: https://civil.ge/ka/archives/466808, განახლებულია: 24.02.2022.

[48] იქვე.

[49] „საპარლამენტო მიმატება-გამოკლება", საინფორმაციო პორტალი „რადიო თავისუფლება", 2022 წლის 31 იანვარი, ხელმისაწვდომია: https://www.radiotavisupleba.ge/a/31679896.html, განახლებულია: 24.02.2022.

[50] იქვე.

[51] „NDI-ის კვლევა: მოსახლეობა ეკონომიკაზე წუხს და პარტიების მიმართ ნაკლები ნდობა აქვს", საინფორმაციო პორტალი „Civil.ge", 2022 წლის 27 იანვარი, ხელმისაწვდომია: https://civil.ge/ka/archives/469218, განახლებულია: 24.02.2022.

[52] „NDI-ის კვლევა: ეკონომიკური სიდუხჭირე მოსახლეობისთვის კვლავაც მთავარი გამოწვევაა; მოქალაქეთა უმრავლესობა ამბობს, რომ მათ ინტერესებზე არავინ ზრუნავს", NDI საქართველოს ოფიციალური ვებგვერდი, 2022 წლის 27 იანვარი, ხელმისაწვდომია: https://www.ndi.org/sites/default/files/NDI%20Georgia%20press%20release_December%202021%20poll_GEO.pdf, განახლებულია: 24.02.2022.

[53] იქვე.

[54] „საზოგადოების განწყობა საქართველოში: 2021 წლის დეკემბრის სატელეფონო გამოკითხვის მთავარი მიგნებები", NDI საქართველოს ოფიციალური ვებგვერდი, ხელმისაწვდომია: https://www.ndi.org/sites/default/files/NDI%20Georgia%20-%20December%202021%20poll_Geo_vf%20%281%29.pdf, განახლებულია: 24.02.2022.

ბის მიმართ საზოგადოების ნდობა.[55] გამოკითხულთა 92%-ისთვის დემოკრატიულ ქვეყანაში ცხოვრება „ძალიან მნიშვნელოვანი" ან „მნიშვნელოვანია".[56] თუმცა, ყოველი მეორე მოქალაქე მიიჩნევს, რომ საქართველო არ არის დემოკრატიული.[57] უმრავლესობის აზრით, მმართველი პარტიისა და ოპოზიციური პარტიების ქმედებები არ არის მოსახლეობის საჭიროებებზე ორიენტირებული.[58] მოქალაქეთა 53% ფიქრობს, რომ საკანონმდებლო ორგანო არ მუშაობს მათთვის მნიშვნელოვან საკითხებზე.[59] 52%-ს ასევე არ სჯერა, რომ პარლამენტის წევრისთვის მის დასახლებაში არსებული პრობლემების თაობაზე მიმართვის შემთხვევაში ის მათ მოგვარებაში დაეხმარება.[60]

მოსახლეობის მხოლოდ 42%-მა დაასახელა კონკრეტული პარტია, რომელიც მის შეხედულებებთან ყველაზე ახლოს იდგა.[61] დანარჩენმა არ იცოდა, ან უარს ამბობდა ასეთი პარტიის დასახელებაზე.[62]

გამოკითხულთა მნიშვნელოვანი ნაწილი უკმაყოფილოა მთავრობის, ინსტიტუტებისა და პოლიტიკური ლიდერების საქმიანობით.[63] გაუარესებულია პრემიერ-მინისტრისა და პრეზიდენტის საქმიანობის შეფასებაც.[64] უარყოფითად შეფასდა ცენტრალური საარჩევნო კომისიის საქმიანობაც, ეს მაჩვენებელი ბოლო ექვს წელიწადში გასამმაგდა.[65]

აღსანიშნავია, რომ კვლევის შედეგების მიხედვით, პოლიტიკური პოლარიზაციის ფონზე, მოსახლეობა პარტიათაშორისი თანამშრომლობის მომხრეა.[66] პოლიტიკური შეხედულებების მიუხედავად, მოქალაქეები იზიარებენ მოსაზრებას პარტიებს შორის თანამშრომლობის მნიშვნელობაზე.[67] 80% ფიქრობს, რომ მათ მიერ არჩეულმა პარტიამ პარლამენტში მყოფ ყველა სხვა პარტიასთან უნდა ითანამშრომლოს, მათ შორის, მათთანაც, რომელთა ზოგიერთი ქმედება ან მოსაზრება მიუღებელია.[68] აგრეთვე, უმრავლესობის აზრით, მმართველ პარტიასა და ოპოზიციას შორის შუამავლისა და შემრიგებლის როლი ადგილობრივმა მოთამაშეებმა (50% - პოლიტიკური პარტიები, პრეზიდენტი, პარლამენტის თავმჯდომარე, 18% - დასავლელი პარტნიორები) უნდა შეასრულონ.[69]

კვლევამ აჩვენა, რომ მოსახლეობას საქართველოს საგარეო პოლიტიკური კურსის შესახებ ერ-

---

[55] „NDI-ის კვლევა: ეკონომიკური სიდუხჭირე მოსახლეობისთვის კვლავაც მთავარი გამოწვევაა; მოქალაქეთა უმრავლესობა ამბობს, რომ მათ ინტერესებზე არავინ ზრუნავს", NDI საქართველოს ოფიციალური ვებგვერდი, 2022 წლის 27 იანვარი, ხელმისაწვდომია: https://www.ndi.org/sites/default/files/NDI%20Georgia%20press%20release_December%202021%20poll_GEO.pdf, განახლებულია: 24.02.2022.

[56] იქვე.

[57] იქვე.

[58] „საზოგადოების განწყობა საქართველოში: 2021 წლის დეკემბრის სატელეფონო გამოკითხვის მთავარი მიგნებები", NDI საქართველოს ოფიციალური ვებგვერდი, ხელმისაწვდომია: https://www.ndi.org/sites/default/files/NDI%20Georgia%20-%20December%202021%20poll_Geo_vf%20%281%29.pdf, განახლებულია: 24.02.2022.

[59] „NDI-ის კვლევა: ეკონომიკური სიდუხჭირე მოსახლეობისთვის კვლავაც მთავარი გამოწვევაა; მოქალაქეთა უმრავლესობა ამბობს, რომ მათ ინტერესებზე არავინ ზრუნავს", NDI საქართველოს ოფიციალური ვებგვერდი, 2022 წლის 27 იანვარი, ხელმისაწვდომია: https://www.ndi.org/sites/default/files/NDI%20Georgia%20press%20release_December%202021%20poll_GEO.pdf, განახლებულია: 24.02.2022.

[60] „საზოგადოების განწყობა საქართველოში: 2021 წლის დეკემბრის სატელეფონო გამოკითხვის მთავარი მიგნებები", NDI საქართველოს ოფიციალური ვებგვერდი, ხელმისაწვდომია: https://www.ndi.org/sites/default/files/NDI%20Georgia%20-%20December%202021%20poll_Geo_vf%20%281%29.pdf, განახლებულია: 24.02.2022.

[61] იქვე.

[62] იქვე.

[63] იქვე.

[64] იქვე.

[65] იქვე.

[66] „NDI-ის კვლევა: ეკონომიკური სიდუხჭირე მოსახლეობისთვის კვლავაც მთავარი გამოწვევაა; მოქალაქეთა უმრავლესობა ამბობს, რომ მათ ინტერესებზე არავინ ზრუნავს", NDI საქართველოს ოფიციალური ვებგვერდი, 2022 წლის 27 იანვარი, ხელმისაწვდომია: https://www.ndi.org/sites/default/files/NDI%20Georgia%20press%20release_December%202021%20poll_GEO.pdf, განახლებულია: 24.02.2022.

[67] „საზოგადოების განწყობა საქართველოში: 2021 წლის დეკემბრის სატელეფონო გამოკითხვის მთავარი მიგნებები", NDI საქართველოს ოფიციალური ვებგვერდი, ხელმისაწვდომია: https://www.ndi.org/sites/default/files/NDI%20Georgia%20-%20December%202021%20poll_Geo_vf%20%281%29.pdf, განახლებულია: 24.02.2022.

[68] იქვე.

[69] იქვე.

თგვაროვანი შეხედულება აქვს.[70] 83%-ისთვის მისაღებია მთავრობის გაცხადებული მიზანი საქართველოს ევროკავშირში გაწევრიანების შესახებ.[71] პოლიტიკური შეხედულებების მიუხედავად, მოქალაქეები თანხმდებიან, რომ ევროკავშირის წევრობა ქვეყნისთვის მნიშვნელოვანია.[72] ანალოგიურად, რესპონდენტთა 77%-მა მხარი დაუჭირა საქართველოს ნატოში შესვლასაც.[73]

VII. ევროპარლამენტარების გაუქმებული ვიზიტი საქართველოში

21 იანვარს ჟან მონეს დიალოგის ფასილიტატორმა ევროპარლამენტარებმა - ვიოლა ფონ კრამონმა, მირიამ ლექსმანმა და მარინა კალიურანდმა განაცხადეს, რომ 21-22 იანვარს საქართველოში დაგეგმილი მათი ვიზიტი გაუქმდა, ვინაიდან საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე შალვა პაპუაშვილმა შეხვედრისთვის დრო ვერ გამონახა.[74] ვიზიტი მიზნად ისახავდა საქართველოს საკანონმდებლო ორგანოსთან ჟან მონეს დიალოგის პროცესის დაწყების შესაძლებლობების შესწავლას,[75] ასევე პარტიათაშორისი დიალოგის განვითარებას „დემოკრატიული საპარლამენტო კულტურისა და ნდობის მშენებლობისთვის".[76] მისი განხორციელება 19 აპრილის შეთანხმების ერთ-ერთი ძირითადი პუნქტი იყო.[77] ევროპარლამენტარებმა სინანული გამოთქვეს, რომ ამ ეტაპზე პროცესის დასაწყებად საჭირო პირობები ვერ შესრულდა.[78] აღნიშნულს ვიოლა ფონ კრამონი ტვიტერზე გამოეხმაურა და აღნიშნა, რომ ევროკავშირს აქვს ყველა ინსტრუმენტი, რომელიც საქართველოში პოლიტიკურ პარტიებს შორის დიალოგის ფასილიტაციას შეძლებს.[79] თუმცა, ჟან მონეს დიალოგის დაწყება საქართველოს პარლამენტის მიზეზით გაჭიანურდა.[80] ვიზიტის გაუქმებასთან დაკავშირებით ევროპარლამენტარმა მირიამ ლექსმანმა განაცხადა, რომ ისინი ჟან მონეს დიალოგის ერთგულნი რჩებოდნენ და საქართველოს პარლამენტისგანაც იმავეს მოელოდნენ.[81]

---

[70] „NDI-ის კვლევა: ეკონომიკური სიდუხჭირე მოსახლეობისთვის კვლავაც მთავარი გამოწვევაა; მოქალაქეთა უმრავლესობა ამბობს, რომ მათ ინტერესებზე არავინ ზრუნავს", NDI საქართველოს ოფიციალური ვებგვერდი, 2022 წლის 27 იანვარი, ხელმისაწვდომია: https://www.ndi.org/sites/default/files/NDI%20Georgia%20press%20release_December%202021%20poll_GEO.pdf, განახლებულია: 24.02.2022.

[71] „ახალი კვლევით, მოქალაქეთა უმრავლესობა ნატოსა და ევროკავშირში გაწევრიანების მომხრეა", საინფორმაციო პორტალი „Civil.ge", 2022 წლის 27 იანვარი, ხელმისაწვდომია: https://civil.ge/ka/archives/469136, განახლებულია: 24.02.2022.

[72] „NDI-ის კვლევა: ეკონომიკური სიდუხჭირე მოსახლეობისთვის კვლავაც მთავარი გამოწვევაა; მოქალაქეთა უმრავლესობა ამბობს, რომ მათ ინტერესებზე არავინ ზრუნავს", NDI საქართველოს ოფიციალური ვებგვერდი, 2022 წლის 27 იანვარი, ხელმისაწვდომია: https://www.ndi.org/sites/default/files/NDI%20Georgia%20press%20release_December%202021%20poll_GEO.pdf, განახლებულია: 24.02.2022.

[73] იქვე.

[74] პარლამენტის თავმჯდომარის „დროის უქონლობის გამო" ევროპარლამენტარებმა ვიზიტი გააუქმეს", საინფორმაციო პორტალი „Civil.ge", 2022 წლის 22 იანვარი, ხელმისაწვდომია: https://civil.ge/ka/archives/468053, განახლებულია: 24.02.2022.

[75] "The Inter-Party Dialogue with the National Assembly of Serbia concludes its second phase ahead of the upcoming local, parliamentary and presidential elections", ევროპული პარლამენტის ოფიციალური ვებგვერდი, 2022 წლის 28 იანვარი, ხელმისაწვდომია: https://www.europarl.europa.eu/globaldemocracysupport/en/mediation-and-dialogue/latest-news, განახლებულია: 24.02.2022.

[76] იქვე.

[77] „სამომავლო გზა საქართველოსთვის", European Union External Action Service-ის ოფიციალური ვებგვერდი, ხელმისაწვდომია: https://eeas.europa.eu/sites/default/files/mediacia_samomavlo_gza_sakartvelostvis.pdf, განახლებულია: 22.02.2022.

[78] "The Inter-Party Dialogue with the National Assembly of Serbia concludes its second phase ahead of the upcoming local, parliamentary and presidential elections", ევროპული პარლამენტის ოფიციალური ვებგვერდი, 2022 წლის 28 იანვარი, ხელმისაწვდომია: https://www.europarl.europa.eu/globaldemocracysupport/en/mediation-and-dialogue/latest-news, განახლებულია: 24.02.2022.

[79] Viola Von Cramon, Twitter post, 2022 წლის 21 იანვარი, ხელმისაწვდომია: https://twitter.com/ViolavonCramon/status/1484564311984988173?s=20, განახლებულია: 24.02.2022.

[80] იქვე.

[81] Miriam M. Lexmann, Twitter post, 2022 წლის 21 იანვარი, ხელმისაწვდომია: https://twitter.com/MiriamMLex/status/1484565979250270215?s=20, განახლებულია: 24.02.2022.

22 იანვარს ამ ფაქტს გამოეხმაურა საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარეც.[82] განცხადების თანახმად, ჟან მონეს დიალოგის დაწყებამდე შეხვედრა უნდა გამართულიყო საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე შალვა პაპუაშვილსა და ევროპარლამენტის ახლად არჩეულ პრეზიდენტ რობერტა მეცოლას შორის.[83]

24 იანვარს „ქართული ოცნების" დეპუტატმა ირაკლი ზარქუამ ევროკავშირის საკანონმდებლო ორგანოს წევრები „უსაფუძვლო და უსამართლო გამოხტომების" გამო გააკრიტიკა.[84] მისი თქმით, შეხვედრამდე პროტოკოლი უნდა დაწერილიყო, თუმცა ევროპარლამენტარები იქამდე „გამორბ[ოდნენ]".[85] მან ევროპული პარლამენტის წევრებს სხვა საქმით დაკავება ურჩია.[86]

VIII. საქართველო ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეის ანგარიშში

ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეის (PACE) მონიტორინგის კომიტეტი 11 ქვეყანაში 2021 წელს წევრი ქვეყნების მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულების მონიტორინგს ახორციელებდა.[87] 2022 წლის 28 იანვარს საპარლამენტო ასამბლეამ მონიტორინგის პროგრესის შესახებ რეზოლუცია გამოაქვეყნა და „ასამბლეის მონიტორინგის პროცედურის პროგრესის" ანგარიში განიხილა.[88] რეზოლუციის თანახმად, საპარლამენტო ასამბლეამ შეშფოთება გამოთქვა ქვეყანაში არსებული პოლიტიკური პოლარიზაციის გამო, რომელმაც 19 აპრილის შეთანხმების შეუსრულებლობა გამოიწვია.[89] ასამბლეამ პოლიტიკურ პარტიებს ერთმანეთთან კონსტრუქციული დიალოგისა და ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულებისკენ მოუწოდა.[90] უშუალოდ ანგარიშში ცალკე თავი დაეთმო 2021 წელს საქართველოში პოლიტიკური ვითარების შეფასებას.[91] ანგარიშის მიხედვით, „დაძაბული და პოლარიზებული პოლიტიკური კლიმატი საქართველოში აფერხებ[და] ქვეყნის დემოკრატიულ კონსოლიდაციას".[92] 2021 წლის მუნიციპალური არჩევნები ანგარიშში „კომპეტენტურად და გამართულად" შეფასდა, თუმცა მასში ასევე მითითებულია ამომრჩევლებზე ზეწოლის, მოსყიდვის ბრალდებებისა და მმართველი პარტი-

---

[82] „ჟან მონეს დიალოგის დაწყებამდე პაპუაშვილს ევროპარლამენტის ახალ პრეზიდენტთან შეხვედრა სურს", საინფორმაციო პორტალი „Civil.ge", 2022 წლის 22 იანვარი, ხელმისაწვდომია: https://civil.ge/ka/archives/468060, განახლებულია: 24.02.2022.

[83] „საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის კაბინეტის განცხადება", საქართველოს პარლამენტის ოფიციალური ვებგვერდი, 2022 წლის 22 იანვარი, ხელმისაწვდომია: https://parliament.ge/media/news/sakartvelos-parlamentis-tavmjdomaris-kabinetis-gantskhadeba, განახლებულია: 24.02.2022.

[84] „ოცნების" დეპუტატი ევროპარლამენტარებს „უსაფუძვლო და უსამართლო გამოხტომების გამო" აკრიტიკებს", საინფორმაციო პორტალი „Civil.ge", 2022 წლის 24 იანვარი, ხელმისაწვდომია: https://civil.ge/ka/archives/468405, განახლებულია: 24.02.2022.

[85] „ასეთ გამოხტომებს ვერ ავიტანთ - ევროპარლამენტარები დაკავდნენ სხვა საქმით, თუ აქვთ - ზარქუა", „ტელეკომპანია კავკასიის" "Youtube" არხი, ხელმისაწვდომია: https://www.youtube.com/watch?v=97HICRsXfp4, განახლებულია: 24.02.2022.

[86] იქვე.

[87] „საქართველო PACE-ის მონიტორინგის კომიტეტის 2021 წლის ანგარიშში", საინფორმაციო პორტალი „Civil.ge", 2022 წლის 24 იანვარი, ხელმისაწვდომია: https://civil.ge/ka/archives/468392, განახლებულია: 24.02.2022.

[88] „Progress of the Assembly`s monitoring procedure (January-December 2021), Parliamentary Assembly of Council of Europe ოფიციალური ვებგვერდი, 2022 წლის 28 იანვარი, ხელმისაწვდომია: https://pace.coe.int/en/files/29804/html, განახლებულია: 24.02.2022.

[89] იქვე.

[90] იქვე.

[91] „საქართველო PACE-ის მონიტორინგის კომიტეტის 2021 წლის ანგარიშში", საინფორმაციო პორტალი „Civil.ge", 2022 წლის 24 იანვარი, ხელმისაწვდომია: https://civil.ge/ka/archives/468392, განახლებულია: 24.02.2022.

[92] „Progress of the Assembly's monitoring procedure (January - December 2021)", Report, Parliamentary Assembly of Council of Europe-ის ოფიციალური ვებგვერდი, 2022 წლის 10 იანვარი, ხელმისაწვდომია: https://pace.coe.int/pdf/aa3145c06dc94e756dfde2eea1acf0410319eafa7b86756a2fce56d070fa80a6/doc.%2015433.pdf, 13, განახლებულია: 24.02.2022.

ის სასარგებლოდ პარტიებს შორის არათანასწორი პირობების არსებობის შესახებ.[93] ანგარიშში ყურადღება გამახვილებულია მართლმსაჯულების სფეროში არსებულ პრობლემებზეც.

IX. აშშ-ის ელჩის, კელი დეგნანის სიტყვა საელჩოს 30 წლის იუბილეზე

26 იანვარს აშშ-ის საელჩომ აშშ-სა და საქართველოს შორის დიპლომატიური ურთიერთობების 30 წლისთავი აღნიშნა.[94] იუბილესთან დაკავშირებით წარმოთქმულ სიტყვაში კელი დეგნანი საქართველოში დემოკრატიული ინსტიტუტების მდგომარეობასაც შეეხო.[95] მისი თქმით, თანამშრომლობის მომდევნო 30 წლის ხედვა ოპტიმისტურია, თუმცა საქართველოში პოლიტიკური და დემოკრატიული ინსტიტუტები ჯერ კიდევ არ არის საკმარისად განვითარებული და ვერ პასუხობს „დემოკრატიულ იდეალებს". ელჩის აზრით, დემოკრატიული განვითარებისთვის დამატებითი დაბრკოლებაა „უაღრესად ტენდენციური და პოლარიზებული პოლიტიკური გარემო".[96] მან ასევე აღნიშნა, რომ საქართველოში არსებული პოლიტიკური ვითარება უკანასკნელი 30 წლის განმავლობაში და რუსეთისგან მომდინარე საფრთხეები მოითხოვდა დემოკრატიული ინსტიტუტების დაცვას „ავტოკრატიული ტენდენციებისგან".[97] არსებულ ვითარებაში, ელჩის აზრით, აუცილებელი იყო საქართველოს მოსახლეობის ერთიანობა და ქვეყნის წინაშე არსებული განვითარების სხვადასხვა შესაძლებლობის ეფექტიანად გამოყენება.[98]

---

[93] იქვე.

[94] „კელი დეგნანი საქართველოში ინსტიტუტების განვითარების შეფერხებაზე საუბრობს", საინფორმაციო პორტალი „Civil.ge", 2022 წლის 26 იანვარი, ხელმისაწვდომია: https://civil.ge/ka/archives/468817, განახლებულია: 24.02.2022.

[95] იქვე.

[96] „კელი დეგნანის სიტყვა 30 წლის იუბილესთან დაკავშირებით", აშშ-ის საელჩო საქართველო, ოფიციალური ვებგვერდი, 2022 წლის 25 იანვარი, ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3pcM0Wh, განახლებულია: 24.02.2022.

[97] „კელი დეგნანის სიტყვა 30 წლის იუბილესთან დაკავშირებით", აშშ-ის საელჩო საქართველო, ოფიციალური ვებგვერდი, 2022 წლის 25 იანვარი, ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3pcM0Wh, განახლებულია: 24.02.2022.

[98] იქვე.